

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

შპს „მერკური“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

სარჩევი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	5
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	3	4,614,015
არამატერიალური აქტივები	4	281,564
საინვესტიციო ქონება		-
აქტივის გამოყენების უფლება		196,924
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		1,486,999

6,579,502

მოკლევადიანი აქტივები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	372,068
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	855,918
მარაგები	7	1,311,008
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-

2,538,993

მთლიანი აქტივები

9,118,494

მთლიანი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი		4,697,580
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(6,694,420)
გადაფასების რეზერვი		-

(1,996,840)

ვალდებულებები

გრძელვადიანი ვალდებულებები

გრძელვადიანი სესხები		6,662,959
ანარიცხები		-
გადავადებული შემოსავალი		-

6,662,959

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები		1,863,989
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2,551,672
გადასახდელი პროცენტი		8,348
საგადასახადო ვალდებულებები	9	28,367

4,452,375

მთლიანი ვალდებულებები

11,115,335

მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები

9,118,495

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური დირექტორი :

გიორგი ქოიავა

6 - 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია



შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

**კონსოლიდირებული მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება დამტკიცებულია 2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ამონაგები	10	4,861,741
თვითღირებულება		(92,938)
საერთო მოგება		4,768,803
სხვა შემოსავლები	11	215,873
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	12	(6,779,108)
მიწოდების დანახარჯები		(2,089,809)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	13	538,865
სხვა ხარჯები		(196,901)
საოპერაციო მოგება		(3,542,276)
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი	14	(441,403)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(441,403)
მოგება დაბეგვრამდე		(3,983,680)
გაცემული დივიდენდი		-
მოგების გადასახადი		(472)
წმინდა მოგება		(3,984,152)
სხვა სრული შემოსავალი:		-
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
მთლიანი სრული შემოსავალი		(3,984,152)

ფინანსური დირექტორი



გიორგი ქოიავა

6- 17 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	5,480,792	(1,075,397)	4,405,395
პერიოდის სრული შემოსავალი	-	(3,984,152)	(3,984,152)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(783,212)	(1,634,871)	(2,418,083)
2021 წლის 31 დეკემბერი	4,697,580	(6,694,420)	(1,996,840)

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია
2022 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური დირექტორი



გიორგი ქოიავა

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შესავალი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მერკური“ (ს/კ 405372779) შემდგომში – კომპანია, დაფუძნდა 2020 წლის 13 იანვარ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ–სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ცინცაძის ქ., N 43, ბ. 4ა . 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფის კაპიტალის ფლობენ:

თეიმურაზ უგულავა	51%
ვალერი ჩეხერია	5%
არჩილ კახიძე	44%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტრო ტრანსპორტის გაზიარების სერვისი.

კომპანიას დაფუძნებული აქვს შვილობილი კომპანიები:

- შპს „მერკური დელივერი“ 100%-იანი წილის ფლობით
- შპს „სატურნი“ 100%-იანი წილის ფლობით

ასევე არის შპს „გოლ გრინერ ჯორჯიას“ 17.6% წილის მფლობელი

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. ჯგუფის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებსა 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. ჯგუფი არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგების.

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

კონსოლიდირების საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კონსოლიდირებული საოპერაციო შედეგების და კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის უწყისისგან.

შვილობილი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საოპერაციო შედეგები და საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება მომზადებულია იმავე სააღრიცხვო პერიოდისთვის რაც კომპანიისა, სადაც გამოყენებულია თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკა. ყველა შიდა ჯგუფური ბალანსები, შიდა ჯგუფური ტრანზაქციები და არარეალიზებული შიდა ჯგუფური მოგება და ზარალი და დივიდენდები სრულად ელიმინირდება.

ფუნქციონირებადი საწარმო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, ჯგუფი გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ქევიგალენტები

ფული და ფულის ქევიგალენტები მოიცავს ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

	31/12/2021	1/1/2021
1 USD/GEL	3.0976	3.2766
1 EUR/GEL	3.504	4.0233

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

შპს „მერკური“

(თანხები მოცემულია ლარში)

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით.

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 0 ლარს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების განსაზღვრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდეწა დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად. კომპანიის არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 10 წელი.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად ჯგუფის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავალი აღიარდება სხვა შემოსავალში.

თუ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის არსებობს ნიშანი იმისა, რომ ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოში განხორციელებული ინვესტიცია შეიძლება იყოს გაუფასურებული, ინვესტიციის მთლიანი საბალანსო ღირებულება მოწმდება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მისივე ანაზღაურებად ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება შემცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მოგების გადასახადი

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე.წ. “ესტონური”, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

საწესდებო კაპიტალი

კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებულია დამფუძნებლის მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანების რეალური ღირებულებით

1. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომლებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. კომპანიის მენეჯმენტი სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის დროს ითვალისწინებს მსგავსი აქტივების გამოყენების გამოცდილებას, აქტივების ტექნიკურ მოძველებასა და ფიზიკურ მდგომარეობას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 3
ძირითადი
საშუალებები

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერუ ლი ტექნიკა)	ავეჯი და სხვა ინვენტა რი	სხვა გრძელვადი ანი აქტივები	სატრანსპორტ ო საშუალებები	სულ
01 იანვარი 2021	231,821		177,232	45,580		8,586,499	9,041,132
შემოსვლა	638,250	190,917	202,255	39,001	93	152,264	1,222,780
გასვლა	(7,574)	(185,789)	(61,989)	(27,109)		(2,198,001)	(2,480,462)
31 დეკემბერი 2021	862,497	5,128	317,498	57,472	93	6,540,762	7,783,450
ცვეთა და გაუფასურება							
1 იანვარი 2021	(15,455)		(31,754)	(20,258)		(527,778)	(595,245)
პერიოდის ცვეთა	(36,413)	(696)	(64,936)	(2,336)	-	(2,081,053)	(2,185,434)
გასვლა					-	-	-
31 დეკემბერი 2021	(51,868)	(696)	(96,690)	(22,594)	-	(2,608,831)	(2,780,679)
წმინდა საბალანსო ღირებულება			(894)			(387,862)	
1 იანვარი 2021	216,366	-	145,478	25,322	-	8,058,721	8,445,889
31 დეკემბერი 2021	810,629	4,432	219,914	34,878	93	3,544,069	4,614,015

შენიშვნა 5

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2021
ნაღდი ფული სალაროში	
ეროვნული ვალუტა ბანკში	109,164
უცხოური ვალუტა ბანკში	262,904
სულ	372,068

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 6

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	273,352
გადახდილი ავანსები	380,926
საგადასახადო აქტივი	97,415
სხვა მოთხოვნები	104,225
სულ	855,917

შენიშვნა 7

მარაგები

	2021
საქონელი	1,311,008
სულ	1,311,008

შენიშვნა 8

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2021
სავაჭრო ვალდებულებები	2,549,309
სხვა ვალდებულებები	2,363
სულ	2,551,672

შენიშვნა 9

საგადასახადო ვალდებულება

	2021
საგადასახადო ვალდებულებები	28,367
სულ	28367

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

შენიშვნა 10

ამონაგები

	2021
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	55,644
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	4,806,097
სულ	4,861,741

შენიშვნა 12

ზოგადი და ადმონისტრაციული ხარჯები

	2021
შრომის ანაზღაურება	(3,331,566)
მივლინების ხარჯები	(4,821)
სხვა საერთო ხარჯი	(135,435)
იჯარის ხარჯი	(56,691)
კომუნალური ხარჯები	(9,455)
ბანკის საკომისიო	(13,105)
საწყობის სოფტი	(14,320)
იურიდიული მომსახურება	(16,500)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(999,437)
ცვეთა და ამორტიზაცია	(2,197,777)
სულ	(6,779,107)

შენიშვნა 13

სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2021
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	538,865
სულ	538,865

შენიშვნა 14

ფინანსური ხარჯი

	2021
საპროცენტო ხარჯი	441,403
სულ	441,403

შპს „მერკური“
(თანხები მოცემულია ლარში)

კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კორონავირუსის (COVID-19) გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და მოკლე დროში მიიღო გლობალური პანდემიის სახე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა მოიცვა რამაც გავლენა იქონია ეკონომიკაზე, როგორც სტაბილურობის ისე კრიზისის თვალსაზრისით. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ დროულად მიმართა შეზღუდვებს და დააწესა რეგულაციები, კომპანიამ გაითვალისწინა ყველა მითითება და რეგულაცია, რის ფარგლებშიც გააგრძელა ეკონომიკური საქმიანობა.

კომპანია გეგმავს შექმნას საქმიანობის უწყვეტობის გეგმა, გაციფრულებაზე კი ყველაზე დიდ აქცენტები გაკეთდება. კომპანია გეგმავს მინიმუმადე დაიყვანოს თანამშრომლების და სხვა პირების ფიზიკური კონტაქტი, რასაც გაციფრულების საფუძველზე შეძლებს.

ზემოთ აღწერილის შემთხვევებლად უნდა ითქვას რომ კორონა ვირუსს 2021 წლის ანგარიშგებაზე გავლენა არ მოუხდენია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.

2021 წლის საანგარიშგებო პერიოდზე ბალანსშემდგომი მოვლენები არ განხორციელებულა.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დამფუძნებლის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.